სსიპ ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების

სახელმწიფო სასწავლებლის 13 წლის გაწეული

მუშაობის ანგარიში

(მნიშვნელოვანი ღონისძიებები)

2004 წლის სექტემბერი – 2016 წლის დეკემბერი

ზოგადი ინფორმაცია

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელი (შემდგომში - სასაწავლებელი) წარმოადგენს, „ზოგადი განათლების შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად შექმნილ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს სრულ საშუალო საბალეტო საგანმანათლებლო პროგრამებს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების გარეშე.

სასწავლებელი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუცის, საქართველოს კანონმდებლობის, წესდების და შინაგანაწესის საფუძველზე.

სასწავლებელი ახორციელებს ხუთ წლიან საბაზო სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის დასრულების შემდეგაც გაიცემა საბაზო სახელოვნებო განათლების მოწმობა და სამ წლიან პროფილურ სახელოვნებო საგანმანთლებლო პროგრამას (ბალეტის მსახიობის განხრით და ქორეოგრაფიული ხელოვნებისა და თეატრის მსახიობის განხრით), რომლის დასრულებისასაც გაიცემა შესაბამისი მოწმობები (სერტიფიკატი).

სასწავლებლის იურიდიული მისამართია: საქართველო, 0105 ქ. თბილისი, ვ. ვეკუას ქუჩა №1, ტელ. 299 06 65, 298 60 41

ელ.ფოსტა : ballet_zuka@yahoo.com
ვებ-გვერდი : www.stateballetschool.ge

სასწავლებლის შესახებ

1916 წელს იტალიელმა მოცეკვავემ მარია პერინიმ საქართველოში პირველი კერძო საბალეტო სტუდია გახსნა, რომელიც 1920 წლიდან ოპერისა და ბალეტის თეატრის სახელმწიფო საბალეტო სკოლად გადაკეთდა (დირექტორი და წამყვანი პედაგოგი 1920 წლიდან მ. პერინი იყო). პერინიმ უფროსი და საშუალო თაობის მთელი პლეადა აღზარდა, მათ შორის: ვახტანგ და თამარ ჭაბუკიანები, ნინო რამიშვილი, ვახტანგ ვრონსკი, ელენე გვარამაძე, მარია ბაუერი, ირინა და დიმიტრი ალექსიძეები, ილიკო სუხიშვილი, სერგეი სერგეევი, ნიკოლოზ არბატოვი, სიმონ ვირსალაძე, ელენე ჩიკვაიძე, მარია კაზინეცი, სურენ გორსკი, ვივი მეტრეველი, ანა წერეთელი, ქეთევან ნადარეიშვილი და მრავალი სხვა.

1935 წელს ცნობილმა ქორეოგრაფმა და თეორეტიკოსმა დავით ჯავრიშვილმა მ. პერინის სკოლა ქორეოგრაფიულ სტუდიად გადააკეთა, რომელსაც 1951 წლიდან სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებელი ეწოდა. 1951-1977 წლებში სასწავლებელს სათავეში ჩაუდგა მსოფლიოში აღიარებული გენიალური მოცეკვავე და ქორეოგრაფი ვ. ჭაბუკიანი, რომელსაც სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული ეროვნული ბალეტის ისტორიაში. თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიულ სასწავლებელში მოსვლისთანავე ვახტანგ ჭაბუკიანმა უმნიშვნელოვანესი რეფორმები განახორციელა, რომელსაც მოჰყვა ქართველი მოცეკვავეების არაერთი თაობის და მსოფლიო ბალეტის ცნობილი სახეების აღზრდა, როგორებიც არიან: ნინო ანანიაშვილი, ნიკა ცისკარიძე, ირმა ნიორაძე, იგორ ზელინსკი, დათო და მაია მახათელები, ელენე გლურჯიძე, ლალი კანდელაკი, ვასილ ახმეტელი, ლაშა ხოზაშვილი და სხვები.

2004 წლიდან ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელს სათავეში ნინო ანანიაშვილი უდგას, ხოლო სასწავლებლის დირექტორია ზვიად ბაქრაძე.

სასწავლო პროცესი

სასწავლებელში მოსწავლეთა მიღება წარმოებს მისაღები გამოცდების შედეგად. კონკურსში მონაწილეობის უფლება ეძლევა მოსწავლეს, რომელმაც დაამთავრა ოთხი კლასი და შესაბამისად, გამოირჩევა იმ უნარ ჩვევებით, რომელიც აუცილებელია მომავალი ბალეტის მსახიობის ჩამოყალიბებისათვის.

სასწავლებელში სწავლების ხანგრძლიობა განისაზღვრება რვა აკადემიურ სასწავლო წელით და იყოფა ორ საფეხურად :

სასწავლებელი ახორციელებს ხუთ წლიან საბაზო სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის დასრულების შემდეგაც გაიცემა საბაზო სახელოვნებო განათლების მოწმობა და სამ წლიან პროფილურ სახელონებო საგანმანთლებლო პროგრამას (ბალეტის მსახიობის განხრით და ქორეოგრაფიული ხელოვნებისა და თეატრის მსახიობის განხრით), რომლის დასრულებისასაც გაიცემა შესაბამისი მოწმობები (სერტიფიკატი).

ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელი ერთადერთია საქართველოში, რომელიც ამზადებს ბალეტის პროფესიონალ მსახიობებს. სასწავლებელში კლასიკური ცეკვა წამყვანი დისციპლინაა. ყველა სპეციალური საგანი, რომელიც აქ ისწავლება, ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია, რაც პროფესიონალი ბალეტის მსახიობის მომზადებას უწყობს ხელს. აღსანიშნავია, რომ ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასი (პედაგოგები, კორდებალეტი, სოლისტები) ამ სასწავლებლის აღზრდილები არიან.

სასწავლებელში ისწავლება: კლასიკური ცეკვა, წყვილთა ცეკვა, ისტორიულ -ყოფითი ცეკვა, სახასიათო ცეკვა, თანამედროვე და ქართული ცეკვა, რითმიკა, გრიმი, მსახიობის ოსტატობა, სცენოგრაფია, ვოკალი, მეტყველება და სხვა (იხილეთ გრაფიკი №3). მთელი წლის განმავლობაში სასწავლებლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ, ოპერისა და ბალეტის თეატრის სხვადასხვა სპექტაკლებში: "მაკნატუნა", "გედების ტბა", "დონ კიხოტი", "ჟიზელი", "მოცარტიანა", “ამაო სიფრთხილე “ „ გორდა“, „ წუნა და წრუწუნა “ და სხვა.

სასწავლებელში სწავლების პროცესი მიმდინარეობს, როგორც უფასო სახელმწიფო დაფინანსებით, აგრეთვე ფასიანი სწავლების ფორმით.

სასწავლებელში 2006 წლიდან ფუნქციონირებს მოსამზადებელი განყოფილება 6-დან 9-წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. მისი მიზანია გამოავლინოს ნიჭიერი ბავშვები და მოამზადოს ისინი დაწყებითი კლასების პროგრამის ათვისებისთვის. ეს პროგრამა გათვალისწინებულია მოსამზადებელი ჯგუფებისთვის, სადაც:

1 და 2 კლასში ისწავლება:
კლასიკური ცეკვა
ქართული ცეკვა
ისტორიულ-ყოფითი ცეკვა
რითმიკა

3 და 4 კლასში ისწავლება:
კლასიკური ცეკვა
ქართული ცეკვა
ისტორიულ-ყოფითი ცეკვა
სუნთქვისა და გაწელვის ვარჯიშები
თანამედროვე ცეკვა
მსახიობის ოსტატობა

მოსამზადებელი ჯგუფის დამთავრების შემდეგ მოსწავლის სურვილის შემთხვევაში ის აგრძელებს სწავლას სასწავლებელში მისაღები საკონკურსო (სამი ტური) სისტემის გავლის შედეგად. 9-10 წლის ასაკიდან იწყება 8 წლიანი საბალეტო ხელოვნების სასწავლო კურსი.

2016-2017 სასწავლო წლიდან კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით სასწავლებელმა დანერგა სწავლების ახალი ფორმები ქართველი და უცხოელი სტუდენტი მოსწავლეებისათვის:

- ერთი თვიდან წლამდე სწავლება;
- ერთი წლიდან ხუთ წლამდე სწავლება;
- სამოყვარულო სწავლების ჯგუფები;
- თეატრალური სტუდია;
- ექსტერნი სწავლება.

გარდა ამისა სასწავლებელის მოსწავლეს სასწავლებელთან არსებული №46 საჯარო სკოლის საშუალებით შეუძლია მიიღოს სრულყოფილი ზოგადი განათლება. ჩვენი სასწავლებლის კურსდამთავრებულები წარმატებით აგრძელებენ საქმიანობას ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასში და სხვადასხვა თეატრებში. ისინი წარმატებით აბარებენ საატესტაციო გამოცდებს "CAT"-ის სისტემით. მაღალი პროცენტით (80-90%) აბარებენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც ჰუმანიტარულ აგრეთვე ტექნიკურ, საბუნებისმეტყველო, სამედიცინო და სხვა ფაკულტეტებზე. ჩვენი სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში. გვყავს ეროვნული ოლიმპიადის გამარჯვებულები მოსწავლეები უცხო ენებში (ფრანგული, ინგლისური, რუსული).

განხორციელებული რეფორმები

სასწავლებელმა სასწავლო პროცესის განვითარებისა და უკეთ წარმართვისათვის ბოლო 13 წლის მანძილზე განახორციელა შესაბამისი რეფორმები. პირველ ეტაპზე შესძლო აემაღლებინა პედაგოგების კვალიფიკაცია და დისციპლინა, რის შედეგადაც გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა (სასწავლებელში, ამჟამად სწავლობს 347 მოსწავლე (იხილეთ გრაფიკი №1) და სწავლების ხარისხი, რაც კარგად გამოჩნდა, როგორც წლიდან - წელზე გადასაყვან გამოცდებზე, აგრეთვე სასწავლო წლის დამამთავრებელ - გამოსაშვებ კონცერტებზე. სასწავლებელს სწავლებისათვის გააჩნია სათანადო საგანმანათლებო ლიტერატურა და უნიკალური არქივი - მუზეუმი. საბალეტო ხელოვნების სპეციფიკიდან გამომდინარე გარდა ლიტერატურული მასალისა, სასწავლებელმა შეიძინა მდიდარი სამუსიკო და ვიდეო მასალა, რაც ხელმისაწვდომს ხდის სწავლების უახლესი მეთოდების გამოყენებას და დანერგვას სასწავლო პროცესში.

სასწავლებელში ჩამოყალიბდა ქორეოგრაფიული ხელოვნებისა და თეატრის მსახიობის განხრა, რამაც საშუალება მისცა მოსწავლეებს თავი წარმოაჩინონ არა მარტო კლასიკური ცეკვის განხრით, არამედ სახასიათო, ქართული ცეკვების და თეატრალური მიმართულებითაც. ამავდროულად სასწავლებელში დაინერგა მსახიობის ოსტატობის გაკვეთილების შესწავლა დრამატული თეატრისთვის დამახასიათებელი ელემენტებით, რომელიც ფართოდ არის დანერგილი ევროპის ქვეყნებში.

სასწავლებელში 2006 წლიდან ფუნქციონირებს სპეციალური აღჭურვილობით მოწყობილი, სადემონსტრაციო ოთახი, სადაც მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ DVD ფორმატში ნახონ საბალეტო ხელოვნების შედევრები. აქვე ავღნიშნავთ რომ 2004 წლიდან სასწავლებელში განხორციელდა მართვის სისტემის საერთო კომპიუტერიზაცია. საწავლებელში მოხერხდა ჩამოყალიბებულიყო სრულყოფილი ვიდეო სტუდია (სამონტაჟო სტუდიით და შესაბამისი ვიდეო-აპარატურით (იხილეთ გრაფიკი №4).

2004 წლიდან დღემდე სასწავლებელმა შეიძინა ათეულობით საცეკვაო კოსტუმები და სრულყოფილად განაახლა საცეკვაო კოსტუმების გარდერობი თავისი სამრეცხაოთი

(იხილეთ გრაფიკი №5). სასწავლებელს აგრეთვე გააჩნია ავტობუსი და მსუმბუქი ავტომანქანები.

2007-2008 წლებში სასწავლებელმა ვეკუას №1 არსებულ ადმინისტრაციულ შენობაში მოაწყო ინტერნატი – საქართველოს რეგიონებიდან სასწავლებლად ჩამოსული მოსწავლეებისთვის, მაგრამ მისი გამოყენება ვერ მოხერხდა შესაბამისი დაფინანსების არ ქონის გამო, ხოლო ამჟამად ჩუბინაშვილის ქუჩაზე არსებული შენობის ავარიულობის გამო ინტერნატის ფართობზე მიმდინარეობს სწავლება. 2015 წელს ჩუბინაშვილის ქუჩა № 49 – ში არსებული შენობა მძიმე ავარიული მდგომარეობიდან გამომდინარე ჩაიბარა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ.

განხორციელებული ღონისძიებები

ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელი არის კერა, სადაც ნინო ანანიაშვილის ხელმძღვანელობით იზრდებიან ღირსეული მოცეკვავეები, რომლებიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ მსოფლიო საბალეტო ხელოვნების კორიფეებს შორის და უზრუნველყოფენ მსოფლიოში ქართული კულტურის პოპულარიზაციას. ქალბატონმა ნინო ანანიაშვილმა, იტვირთა და თავის თავზე აიღო უდიდესი მისია, ქართული ბალეტის აღორძინებისა და მისი, მსოფლიო ასპარეზზე წარმოჩინებისა, რათა საქართველო დაადგეს იმ ქვეყნების გზას, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ამ უნატიფეს ხელოვნებას.

2004 წლიდან დღემდე სასწავლებელს განხორციელებული აქვს 267-მდე (იხილეთ გრაფიკი №2) ღონისძიება (გამოსაშვები საღამოები, კონცერტები, სპექტაკლები, საქველმოქმედო საღამოები, საერთაშორისო კონკურსები, გაცვლითი პროგრამები, თეატრალური და შემეცნებითი საღამოები და სხვა) მოსწავლეები მონაწილეობენ სასწავლებლის სპექტაკლებში, რომლებიც დაიდგა სასწავლებელში: შოპენის "შოპენიანა", მინკუსის "პახიტა", ჩაიკოვსკის "გედების ტბა", "მძინარე მძეთუნახავი", პროკოფიევის "კონკია", მენდელსონის "ზაფხულის ღამის სიზმარი"; მოროზოვის "ექიმი აიბოლიტი" კ.ხაჩატურიანის "ჩიპოლინო" და სხვა.

აგრეთვე სასწავლებლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სპექტაკლებში, რომლებიც იდგმება ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. 2004 წლიდან დღემდე სასწავლო პროცესის სრულყოფისათვის საზღვარგარეთიდან მოწვეული გამოჩენილი მოცეკვავეებისა და პედაგოგების მიერ ჩატარებულ იქნა მასტერ – კლასები : იუკიკო საკურაის, ირინა კოლპაკოვას, ვლად სემიონოვის, მარია კალეგარის, ევა კლობორგის, ანდრეი კუდელინის, დიმიტრი კორნეევის, ოლივიე პატეის, ტეეტ კასკის, ტომ ბოსმანის, ალექსეი მიშუტინის, ვალენტინ ბარტესის და მრავალი სხვა გამოჩენილი მოღვაწის მონაწილეობით.

2011 წელს უკრაინის ქალაქ დონეცკში სასწავლებლის მოსწავლე ნუცა ჩეკურაშვილი დაჯილდოვდა სერჟ ლიფარის სახელობის მე-7 საერთაშორისო კონკურსის ლაურიატის მესამე პრემიით.

2011 წლის 11-27 ივლისს ჩვენს სასწავლებელსა და ესპანეთის ქალაქ ბურგოსის ცეკვის აკადემიას „ ჰელად-ს“ შორის განხორციელდა გაცვლითი პროგრამა. მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ერთობლივ სპექტაკლში.

2012 წელს ქალაქ რიგაში საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე სასწავლებლის აღსაზრდელებმა ნუცა ჩეკურაშვილმა და მამუკა კიკალიშვილმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს. საუკეთესოთა შორის მათ დაიმსახურეს გრან პრი და ასახელეს სასწავლებელი, აგრეთვე 2012 წელს ქალაქ ჰელსინკში გამართულ საერთასორისო საბალეტო კონკურსზე ნუცა ჩეკურაშვილი და მამუკა კიკალიშვილი მოხვდნენ ფინალში და მორიგი წარმატებით დაბრუნდნენ სამშობლოში. ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს მიღწევად, ის რომ სასწავლებელმა შესძლო სწავლების VIII წლის მოსწავლეთა გაგზავნა პეკინის მესამე მსოფლიო საბალეტო ფესტივალზე. სადაც მონაწილეებმა დაიმსახურეს საუკეთესო ხუთეულში მოხვედრა.

2013 წლის 22 – 28 აპრილს და 30 ივნისიდან - 7 ივლისამდე, ჩვენს სასწავლებელსა და პორტუგალიის ეროვნული კონსერვატორიის ცეკვის სკოლას შორის განხორციელდა მოსწავლეთა გაცვლითი პროექტი. მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ჩვენი სასწავლებლის და პორტუგალიის ეროვნული კონსერვატორიის ცეკვის სკოლის გამოსაშვებ სპექტაკლებში.

გაცვლით პროექტში მონაწილეობის მიღება მნიშვნელოვანია სასწავლებლის მოსწავლეებისათვის საცეკვაო გამოცდილების გაზიარების, ერთობლივი საცეკვაო ნომრების მომზადებისა და მომავალში ერთობლივი სპექტაკლის განხორციელებისათვის.

აღსანიშნავია, რომ სასწავლებელის მოსწავლეები მონაწილეობას ღებულობენ სპექტაკლებში, რომლებიც ტარდება საქართველოს რეგიონებში, სხვადასხვა სახის საქველმოქმედო კონცერტებსა და აქციებშიც. კერძოდ: სასწავლებელმა გამართა საქველმოქმედო კონცერტი სარეაბილიტაციო და სოციალური ადაპტაციის ცენტრ „აისის", № 180 საჯარო სკოლის, № 194 საჯარო სკოლის, №84 საჯარო სკოლის და „მომავლის სახლის", თბილისის № 6 ბაღის აღსაზრდელებისა და ევროპული სკოლის მოსწავლეთათვის.

ყოველ წელს ბალეტის მოყვარულთა საზოგადოება, სასწავლებლის მოსწავლეებს აჯილდოვებს სიგელებით და სტიპენდიებით. ქალბატონი ნინო ანანიაშვილი და მისი მეგობრები იაპონიიდან, დანიიდან, გერმანიიდან. ამერიკიდან და ბევრი სხვა ქვეყნიდან პატარა ბალერინებს ასაჩუქრებენ პუანტებით, საცეკვაო კოსტუმებით და აქსესუარებით (იხილეთ გრაფიკი №6).

პირველად სასწავლებლის არსებობის ისტორიაში ქალბატონ ნინო ანანიაშვილის ხელმძღვანელობით გამოიცა საბალეტო სიტყვათა ლექსიკონი და განმარტებითი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე. იგი პრაქტიკული დანიშნულებისაა, რომლის გამოყენება შეუძლებელია შესაბამისი მეცადინეობების გარეშე. ლექსიკონი საუკეთესო დამხმარე საშუალება გახდა საბალეტო ხელოვნებით დაინტერესებული მოსწავლეებისათვის. ლექსიკონში შესულია 370 – მდე სიტყვა, რომელთა უმეტესობა დღეს აქტიურად გამოიყენება სწავლის პროცესში, მას გააჩნია ილუსტრირებული მასალა გარკვეული მოძრაობების უკეთ აღქმისათვის.

სასწავლებელს კავშირი აქვს დამყარებული აზერბაიჯანის, სომხეთის, მოლდავეთის, ბელორუსიის, უკრაინის სასწავლებლებთან. აგრეთვე ამერიკის, იაპონიის, იტალიის, პორტუგალიის და გერმანიის საბალეტო სკოლებთან, დანიის სამეფო - სკოლასთან, მაგრამ მცირე სახსრების გამო სასწავლებელი ვერ ახერხებს გაცვლითი პროგრამის დანერგვას გამონაკლისების გარდა. ძირითადად ზემოაღნიშნული სასწავლებლის წარმომადგენლები სტუმრობენ ჩვენს სასწავლებელს გამოცდილების გაზიარების მიზნით.

სასწავლებლის კურსადამათავრებულებს, რომლებიც მოღვაწეობენ მსოფლიოს სხვადასხვა თეატრებში აქვთ მჭიდრო კავშირი სასწავლებელთან. ისინი გვაცნობენ თავიანთ

წარმატებებს და გვაწვდიან ინფორმაციას იმ ინოვაციური მეთოდების შესახებ, რომელიც ინერგება წამყვანი ევროპული თეატრების სცენებზე.

წლების მანძილზე სასწავლებელის კურსდამთავრებულები ირიცხებიან ოპერისა და ბალეტის საბალეტო დასში, ზოგიერთი მოსწავლე კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გაემგზავრა საზღვარგარეთის სხვადასხვა თეატრებში, ხოლო დანარჩენი მოსწავლეები ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შედეგად ჩარიცხულ იქნენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებიც ამავდროულად ეწევიან წარმატებულ სასცენო მოღვაწეობას და ღებულობენ მონაწილეობას თეატრალურ, სატელევიზიო და სამოდელო პროექტებში. 2013 წელს ქალაქ რიგაში საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე სასწავლებლის აღზრდილმა ნინო სამადაშვილმა დიდ წარმატებას მიაღწია. საუკეთესოთა შორის მან დაიმსახურა გრანპრი და პირველი ადგილი.

2014 წლის 17 – 23 თებერვალს გაიმართა გერმანიის ქალაქ ბერლინის საერთაშორისო ცეკვის ფესტივალი TANZOLYMP 2014. სასწავლებლის მოსწავლემ სალომე ლევერაშვილმა ინდივიდუალურ ცეკვაში დაიმსახურა მე-2 ადგილი, ხოლო ჯგუფურ ცეკვაში სასწავლებლის მოსწავლეებმა: სალომე ლევარაშვილმა, ქეთევან კობახიძემ, ლანა გოგისვანიძემ და ნინო ხახუტაშვილმა დაიმსახურეს მე-4 ადგილი.

რეალური ისტორიები, უცნობი ფაქტები, ლეგენდად ქცეული ადამიანები, რომლებმაც ქართული ბალეტის ისტორია შექმნეს – ამის ნახვა თქვენ შეგიძლიათ ორ ნაწილიან დოკუმენტურ ფილმში „ ბალეტი საქართველოში “. ფილმის ავტორები მაყურებელს მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ამოგზაურებენ და აჩვენებენ ქართული ბალეტის შექმნის მომაჯადოებელ ფრაგმენტებს. ფილმი მართალია დოკუმენტურია, მაგრამ ბევრია დადგმითი სცენები, რომელიც მარია პერინის, ვახტანგ ჭაბუკიანისა და სხვა მნიშვნელოვანი პიროვნებების დრამატულ ცხოვრებას აცოცხლებს. ფილმი იკვლევს აგრეთვე პოლიტიკური და სოციალური ფაქტორების გავლენას ქართული ბალეტის ისტორიაზე.



2013 წლის 12 ივლისს კინოთეატრ „ რუსთაველი “ - ში ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელმა და შემოქმედებითმა ჯგუფმა წარმოადგინა დოკუმენტური ფილმი „ ბალეტი საქართველოში “ . ფილმის ქრონომეტრაჟია 90 წუთი. ეს არის პირველი მცდელობა ქართული ბალეტის ისტორიის მხატვრულ – დოკუმენტური თხრობისა. ფილმზე მუშაობდნენ: პროდიუსერი – პრიმა ბალერინა ქალბატონი ნინო ანანიაშვილი, სცენარის ავტორები – ლელა შენგელი, შალვა შენგელი, რეჟისორი – შალვა შენგელი, იდეის ავტორი – ზვიად ბაქრაძე, კომპოზიტორი – მიშა მდინარაძე, კონსულტანტი – ილია თავბერიძე.

2015 წლის 4 თებერვალს სსიპ ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ბატონი მიხეილ გიორგაძე ეწვია. ბატონი მიხეილი სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელს ქალბატონ ნინო ანანიაშვილს, დირექტორს ზვიად ბაქრაძეს, ადმინისტრაციის თანამშრომლებს, პედაგოგ-სპეციალისტებსა და სასწავლებლის აღსაზრდელებს შეხვდა. საუბარი ყველა საჭირო საკითხებთან ერთად შეეხო სასწავლებლისთვის ახალი შენობის გამოყოფის საკითხს.

ქალბატონ ნინო ანანიაშვილის ინიციატივით და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით 2015 წლის 25 – დან 31 მარტამდე ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სასწავლების მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს იტალიაში ქალაქ ბარში „დომენიკო მოდუნის“ საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე. სასწავლებლის მოსწავლემ ნინო ხახუტაშვილმა დაიმსახურა საუკეთესოთაშორის მე-2 ადგილი ნომინაციაში ვარიაცია. სასწავლებლის მოსწავლემ სალომე ლევერაშვილმა დაიმსახურა საუკეთესოთაშორის მე-3 ადგილი ნომინაციაში პა-დე-დე, აგრეთვე მე-3 ადგილი ნომინაციაში ვარიაცია , ხოლო სასწავლებლის მოსწავლეებმა ჯგუფურ ნომინაციაში დაიკავეს მე-2 ადგილი.

2015 წლის 7 აპრილს სასწავლებლის მოსწავლებმა ნ.ხახუტაშვილმა, ს.ლევერაშვილმა, თ.თალაკვაძემ, ლ.გოგისვანიძემ რუმინეთში ქალაქ ტიმიშუარაში მონაწილეობა მიიღეს ქორეოგრაფ ვალენტინ ბარტესის მიერ დადგმულ სპექტაკლში ,,ამაო სიფრთხილე'' სადაც დიდი მოწონება და ოვაციები დაიმსახურეს და ასახელეს ქართული ბალეტი.

2015 წლის 3 მაისს თბილისის ა.გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსულ დრამატულ თეატრში ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელმა სოციალურად დაუცველი და უნარ – შეზღუდული ბავშვებისთვის გამართა საქველმოქმედო კონცერტი ორ მოქმედებად: საკონცერტო პროგრამა და ჩიპოლინო.

2015 წლის 26 მაისს ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელმა რესპუბლიკის მოედანზე გამართა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი.

2015 წლის 8 ოქტომბერს თბილისის საერთაშორისო თეტრალური ფესტივალის ფარგლებში კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის ქორეოგრაფიული ხელოვნებისა და თეატრის მსახიობის განხრის სპექტაკლი „ანბანთ-ქება". რეჟისორი - ლელა ჭინჭარაული.

2016 წელის 21 - 24 აპრილს თბილისის ვახტან ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სასწავლების მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა ლატვიაში ქალაქ რიგაში „ევენტუსის“ საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე ქალბატონ ნინო ანანიაშვილის ინიციატივით. სასწავლებლის მოსწავლემ სალომე ლევერაშვილმა დაიმსახურა საუკეთესოთა შორის 1- ადგილი, ოქროს მედალი და გრან-პრი ნომინაციაში კლასიკური ვარიაცია. აგრეთვე თანამედროვე ცეკვაში მე-2 ადგილი და ვერცხლის მედალი. ასევე სასწავლებლის მოსწავლემ თათული თალაკვაძემ დაიმსახურა საუკეთესოთა შორის მე-2 ადგილი და ვერცხლის მედალი ნომინაციაში კლასიკური ვარიაცია







2016 წლის 12, 13 მაისს სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელის ქალბატონ ნინო ანანიაშვილის ინიციატივით და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით საქართველოში ჩამოსული იყო იაპონიაში მოღვაწე რუსი ქორეოგრაფი ალექსანდრე მიშუტინი, რომელმაც გამოსაშვები საღამოსათვის

დადგა სპექტაკლი „არლეკინის მილიონები“, რომელიც გაიმართა 2016 წლის 12-13 მაისს ოპერისა და ბალეტის თეატრში.

გამოსაშვებ საღამოზე აგრეთვე მონაწილეობას ღებულობდნენ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში იაპონიის ქ. ტოკიოს საერთაშორისო საბალეტო კომპანია საერთაშორისო საბალეტო უმაღლესი სკოლის 11 მოსწავლე და 2 პედაგოგი

2016 წლის 29 ივნისიდან - 27 ივლისამდე ქალბატონ ნინო ანანიაშვილის ინიციატივით ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელსა და იაპონიის ქ. ტოკიოს საერთაშორისო საბალეტო კომპანიასა და იაპონიის ქ.ნაგოიას ,,იასუკო ნაიტო ბალეტ’’- ის სკოლებს შორის ქ. ტოკიოში და ქ. ნაგოიაში განხორციელდა გაცვლითი პროგრამა;

ჩატარდა მასტერკლასები, სპექტაკლები და კონცერტები. პროგრამაში მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების - IV, V, VIII წლის მოსწავლეები.

სასწავლებლის პედაგოგი ლარისა ჩხიკვიშვილი და სწავლების მე- V წლის მოსწავლე ლიზი ავსაჯანიშვილი 2016 წლის 1 ნოემბრიდან 3 ნოემბრის ჩათვლით იმყოფებოდნენ ქ.უფაში ქორეოგრაფიული სასწავლებლების საეთაშორისო ფესტივალზე ,სადაც ჩვენმა სასწავლებელმა დაიმსახურა დიდი მოწონება. ფესტივალზე მონაწილეობისათვის მათ გადაეცათ დიპლომი, სერთიფიკატი და სამადლობელო სიგელი.

2016 წლის 25, 26 და 27 ნოემბერს ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა პრემიერა ბალეტისა "წუნა და წრუწუნა", რაშიც მონაწილეობა მიიღეს სასწავლებლის სწავლების - I, II, III, IV, V წლის მოსწავლეებმა.

2016 წლის 25 დეკემბერს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის წითელი დარბაზი ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელის ასი წლის იუბილესადმი მიძღვნილი წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. ეს წიგნი ეძღვნება სასწავლებლის დაარსების 100 წლის თავს, ავტორები შეეცადნენ თარიღების ქრონოლოგიურად

დალაგების ნაცვლად მკითხველისთვის მოეთხროდ ამ სასწავლებლის და იქ მოღვაწე ადამიანების ცხოვრებისეული ეპიზოდები. ავტორებს ამგვარად აქვთ წარმოდგენილი ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელის თავგადასავალი პერინიდამ დღემდე. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სასწავლებლის პედაგოგები, მოსწავლეები და მოწვეული სტუმრები.

ყველა განხორციელებული ღონისძიება შეგიძლიათ ნახოთ სასწავლებლის საიტზე: www.stateballetschool.ge.

გრაფიკი №1

მოსწავლეთა რაოდენობა წლების მიხედვით



გრაფიკი №2

სასწავლებელში განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა წლების მიხედვით



გრაფიკი №3

სასწავლო სტრუქტურა

მოსამზადებელი ჯგუფები

1 - 2 კლასი

კლასიკური ცეკვა
ქართული ცეკვა
ისტორიულ-ყოფითი ცეკვა
რითმიკა

3 - 4 კლასი

კლასიკური ცეკვა
ქართული ცეკვა
ისტორიულ-ყოფითი ცეკვა
სუნთქვისა და გაწელვის ვარჯიშები
თანამედროვე ცეკვა
მსახიობის ოსტატობა

სწავლების I, II, III,IV,V წლები

კლასიკური ცეკვა, სახასიათო ცეკვა

ისტორიულ – ყოფითი ცეკვა

ქართული ცეკვა, მსახიობის ოსტატობა

რითმიკა, გაწელვისა და სუნთვის გაკვეყილები

სასწავლო პრაქტიკა

ბალეტის მსახიობის განხრა

კლასიკური ცეკვა, სახასიათო ცეკვა

წყვილთა ცეკვა, მსახიობის ოსტატობა

კლასიკური ცეკვა „ პუანტები“

სასწავლო პრაქტიკა

ზოგად - სპეციალური საგნები

მსოფლიო და ქართული ხელოვნების ისტორია

საზღვარგარეთის ლიტერატურა

გრიმი მუსლიტერატურა

ქორეოგრაფიული ხელოვნებისა და თეატრის მსახიობის განხრა

კლასიკური ცეკვა, სახასიათო ცეკვა

ქართული ცეკვა, მსახიობის ოსტატობა მეტყველება, ვოკალი, სცენოგრაფია

სასწავლო პრაქტიკა

სასწავლებლის სტრუქტურა



სასწავლებელში შეძენილი საცეკვაო ტანსაცმელის, ტექნიკის და სხვა ქონების რაოდენობა წლების მიხედვით



გრაფიკი № 6

ბალეტის მოყვარულთა საზოგადოების და ქალბატონ ნინო ანანიაშვილის მიერ დაფინანსებული მოსწავლეები წლების მიხედვით